საკადასტრო გეგმა

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

საკადასტრო კოდი: **01.11.04.026.009**
განცხადების ნომერი: **882016422022**
მომზადების თარიღი: **07/07/2016**

ნაკვეთის დანიშნულება: **არასასოფლო სამეურნეო**
ფართობი: **67506 კვ.მ (WGS 84 / UTM zone 38N)**



ნაკვეთის საკადასტრო საზღვარი
ხაზობრივი ნაგებობა
ტყის ფონდი
05/25 შენობა/ნაგებობა
05/25 მშენებარე ნაგებობა
ვალდებულება

ვამტკიცებ შ.პ.ს. „შენობა ნაგებობათა
კვლევისა და ექსპერტიზის ცენტრი"-ს
დირექტორი „_____" რ.ცხვედაძე
„22" „02_____" 2017წ

საექსპერტო დასკვნა

ქ.თბილისი, სარაჯიშვილის გამზირი №4-ში(ს.კ 01.11.04.026.0090.) (35/2) სარაჯიშვილის ქარხნის ტერიტორიაზე, სასაწყობე შენობის ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევა მის წინ მისადგომი ბაქნის მოწყობასთან დაკავშირებით სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარების მიზნით.

შემსრულებელი:

ექსპერტი,

პროფესორი დ. ჯანყარაშვილი

შემადგენლობა

1. ექსპერტიზის ჩატარების საფუძველი.....3
2. გამოყენებული აპარატურა 3
3. გამოყენებული ლიტერატურა 4
4. კვლევითი ნაწილი 4
5. დასკვნა 6
6. დანართი 7

1. ექსპერტიზის ჩატარების საფუძველი

2016 წლის 1 თებერვალს შპს „სარაჯიშვილი“-ის აღმასრულებელ დირექტორსა ზურაბ ბუხუტიშვილსა და შპს „შენობა ნაგებობათა კვლევისა და ექსპერტიზის ცენტრი''-ს დირექტორს რევაზ ცხვედაძეს შორის გაფორმებული № ხელშეკრულების თანახმად დაგვევალა ქ.თბილისი, სარაჯიშვილის გამზირი №4-ში(ს.კ 01.11.04.026.0090.) (35/2) სარაჯიშვილის ქარხნის ტერიტორიაზე, სასაწყობე შენობის ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევა მის წინ მისადგომი ბაქნის მოწყობასთან დაკავშირებით სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარების მიზნით.

2. გამოყენებული აპარატურა

1. ლაზერული მანძილმზომი „STANLEY TLM 3000“ №1-77-930;
2. ციფრული ფოტო აპარატი „FUJIFILM” №1WR51706;
3. სკლერომეტრული ჩაქუჩი „ELCOMETER 181“ №11005989.

3. გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილება „გაცემის წესისა და სანებართვო პირობეების შესახებ“;

2. სამშენებლო ნორმების და წესების - „სეისმომედეგი მშენებლობა“ (პრ 01.01-09) საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანება № 1-1/2284. 2009 წლის 7 ოქტომბერი, ქ. თბილისი;

3. სამშენებლო ნორმების და წესების - „მეტონის და რკინაბეტონის კონსტრუქციები“ (პრ 01.01-09) საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანება № 1-1/2391. 2009 წლის 23 ოქტომბერი, ქ. თბილისი;

4. სამშენებლო ნორმების და წესების -„შენობების და ნაგებობების ფუძეები“ (პრ 02.01-08) საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანება № 1-1/1924. 2008 წლის 17 სექტემბერი, ქ. თბილისი;

5. СНиП 2ю02ю01-83* „შენობების და ნაგებობების ფუძეები“ (1995 წ-ს განახლება);

6. СП 13-102-2003, Правила обследования технического состояния несущих стройтельных конструкций зданий и сооружений.

4. კვლევითი ნაწილი

საკვლევი შენობა მდებარეობს ქ. თბილისში, სარაჭიშვილის გამზირი №4-ში, სარაჭიშვილის ქარხნის ტერიტორიაზე. შენობა აშენებულია გასული საუკუნის დასაწყისში. შენობა ორსართულიანია, სარდაფის გარეშე. ფასადის მხრიდან მიყვება სარაჭიშვილის გამზირს. შენობა გეგმაში მართკუთხა ფორმისაა, ზომებით 73.80X42.52 მ, მდებარეობს ოდნავ დახრილ რელიეფზე. შენობის ტიპი კარკასულია. საძირკვლის ტიპი წერტილოვანი, ზომებით: 2.65X2.65 მ; 2.20X2.20 მ; 1.00X1.00 მ. შენობის გრძივი და განივი მიმართულებით განლაგებულია რკინაბეტონის კოლონები, განივკვეთის ზომებით 30X30 სმ; ბიჯით 6.0 მ. შენობის გრძივი მიმართულებით კოლონებძე განლაგებულია

რკინაბეტონის კოჭები, რომლებზეც განლაგებულია წიბოვანი L=6 მ სიგრძის გადახურვის ფილები, სისქით h=0.22 მ. შენობის კონტურზე განლაგებულია მზიდი კედლები სისქით 0.40 მ. კედლები, სართულებს შორის კავშირი ხორციელდება რკინაბეტონის კიბეებით. ნაგებობის კლასი პასუხისმგებლობის მიხედვით – III.

გეოლოგიური კვლევის შედეგად დადგინდა, რომ შენობის წერტილოვანი საძირკვლები დაფუძნებულია ნახევრადმყარი კონსისტენციის მოყვითალო-ყავისფერი, ხვინჭის შემცველი თიხნარზე. გრუნტის პირობითი საანგარიშო წინაღობა R_0 = 2,20 კგძ/სმ2 (220 კპა). ქ. თბილისი, საქართველოს სეისმური საშიშროების რუკის დანართის მიხედვით, განთავსებულია 8 ბალიან სეისმურ ზონაში, ხოლო უბნის გრუნტები სეისმური თვისებებით მიეკუთვნება II კატეგორიას, ამიტომ, უბნის სეისმურობად მიღებულია 8 ბალი.

ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა, რომ შენობების ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. მას არ გააჩნია ჯდენითი ან სხვა რაიმე მიზეზით გამოწვეული დეფორმაციის ნიშნები, რომლებიც უარყოფით გავლენას მოახდენდა შენობის მდგრადობაზე.

შპს „სარაჯიშვილი“-ის ხელმძღვანელობას სურვილი აქვს სასაწყობე შენობის წინ მისადგომი ბაქნის მოწყობა, შენობის მე-2 სართულზე სასაწყობო ტვირთის შესატანად. მისადგომი ბაქანი უნდა მოეწყოს სარაჯიშვილის გამზირის მხრიდან.

აღნიშნული რეკონსტრუქციის სამუშაოების ჩატარება ტექნიკურად შესაძლებელია. ის უნდა შესრულდეს სათანადოდ დამუშავებული პროექტის მიხედვით, რომელიც გულისხმობს სასაწუყობო შენობის კედელში სათანადო ღიობის გამოჭრას და მის სათანადო გამაგრებას; მისადგომი ბაქნის მოწყობას სათანადოდ დამუშავებული პროექტით.

დასკვნა

ქ.თბილისი, სარაჯიშვილის გამზირი №4-ში სარაჯიშვილის (ს.კ 01.11.04.026.0090.) (35/2)ქარხნის ტერიტორიაზე, მდებარე შენობის გამოკვლევით დადგინდა:

1. შენობების ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. მას არ გააჩნია ჯდენითი ან სხვა რაიმე მიზეზით გამოწვეული დეფორმაციის ნიშნები, რომლებიც უარყოფით გავლენას მოახდენდა შენობის მდგრადობაზე;

2. შპს „სარაჯიშვილი“-ის ხელმძღვანელობას სურვილი აქვს სასაწყობე შენობის წინ მისადგომი ბაქნის მოწყობა, შენობის მე-2 სართულზე სასაწყობო ტვირთის შესატანად. მისადგომი ბაქანი უნდა მოეწყოს სარაჯიშვილის გამზირის მხრიდან;

3. აღნიშნული რეკონსტრუქციის სამუშაოების ჩატარება ტექნიკურად შესაძლებელია. ის უნდა შესრულდეს სათანადოდ დამუშავებული პროექტის მიხედვით, რომელიც გულისხმობს სასაწუყობო შენობის კედელში სათანადო ღიობის გამოჭრას და მის სათანადო გამაგრებას; მისადგომი ბაქნის მოწყობას სათანადოდ დამუშავებული პროექტით;

4. დამუშავებული პროექტი უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნებს.

(ფოტო მასალა მოყვანილია დანართში).

საჯარო რეესტრის
ეროვნული სააგენტო

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

საკადასტრო გეგმა

მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი: *01.11.04.026.009*
განცხადების რეგისტრაციის ნომერი 892012059320
მიწის ნაკვეთის ფართობი: *67506* კვ.მ.
დანიშნულება: *არასასოფლო-სამეურნეო*
მომზადების თარიღი 12.11.12



01/2 შენობა-ნაგებობა, პირობითი ნომერი/სართულიანობა

ვალდებულება

ხაზობრივი ნაგებობა

00.0 UTM (საერთაშორისო) სისტემის კოორდ.

მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვარი

მშენებარე ნაგებობა

მიწისქვეშა ნაგებობა

შპს „შენობა-ნაგებობათა კვლევისა და
ექსპერტიზის ცენტრი"
LTD „THE CENTER OF BUILDING RESEARCH
AND EXPERTISE"

თბილისი, თამარ მეფის გამზირი 5ა Tel: (+995 32227704, E-mail: expertisecntr@gmail.com Tamar Mefis gam 5a, Tbilisi, Georgia

22.02.2017 № 07-19
თქვ. № _____

საექსპერტო დასკვნა

ქ.თბილისი, სარაჯიშვილის გამზირი №4-ში (ს.კ 01.11.04.026.0090.) (35/2)სარაჯიშვილის ქარხნის ტერიტორიაზე, სასაწყობე შენობის ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევა მის წინ მისადგომი ბაქნის მოწყობასთან დაკავშირებით სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარების მიზნით.

ქ. თბილისი

2017 წელი